



# ქართული ჭიდაობის ზეიმი

ეროვნული გიგანტი



**ქართული** ჭიდაობის დღესასწაული! სხვაგვარად ვერ ვუწოდებთ იმ ლამაზ და ფერად სანახაობას, რომლითაც დაიწყო საქართველოს დამოუკიდებელი აბსოლუტური ჩემპიონატი და პირველი საერთაშორისო შეჯიბრება. ასპარეზობის საზეიმო განსახიფთაო იყო ყველაფერი, რაც დაინახა და ამასთანავე თბილისის სპორტის სასახლეში შეკრებილთ — მაყურებლებს, მონაწილეებს, სპეციალისტებსა და სტუმრებს.

სხვათა შორის, სტუმარი გაცილებით უფრო ბევრი უნდა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში თბილისში ჩამოსვლის სურვილი ადრევე გამოთქვეს იაპონიის, ბელგიის, ინგლისის, მოკავშირე რესპუბლიკების მოჭიდავეებმა. ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია მათი ჩამოსვლელის მიზეზი.

ისრაელისა და უზბეკეთის, აგრეთვე მასპინძლების მონაწილეობა, ენი და შემართება ერთგვარ კომპლექსის მაინც წარმოადგენს და შეჯიბრებას ქვეყნობის საჭიდაო ზეიმის ელფერს აძლევს.

დებულების თანახმად 1989 წლის ფალაგის სახელისათვის ოთხი წლითი კატეგორიის მოჭიდავენი იბრუნებიან და ტრადიციულად ყველაზე დიდი ხალხმრავლობა 80 კილოგრამში. აქ თავი მოიყარა ოცდაერთმა მოჭიდავემ და მსაჯთა კომისიამ სავსებით სწორად მოიქცა, როცა მონაწილენი ორ ჯგუფად დაყო.

თბილისის პროგრამაში ამ წონის ათლეტებმა ორი წრე განვლეს და ამიტომ მათზე უფრო მეტი გვაქვს საინფორმაციო. პირველი და მთავარი სინაზის უზბეკმა სტუმარმა ნიაზდუნიევმა შემოგვთავაზა. აი, რატომ ვამბობთ, რომ ქართული ჭიდაობა ყველა ეროვნების მოჭიდავის ერთნაირად ახლობელი და

ხელმისაწვდომი სპორტია. დღეიდან ორჯერ უნაკლოდ შესრულა მოგვერდი. პირველი მოგვერდით მან სამ წუთსა და 40 წამში ბეჭებზე დასცა მცხეთელი თემურ წინამძღვრის ვილი, მეორეთი კი წუთსა და 46 წამში გზიდან ჩამოიცილა კასპელი რამაზ გოგიაშვილი.

ქართულ ჭიდაობაში ორი დამარცხება შეჯიბრებიდან გამოთქვას ნიშნავს. 80 კგ წონაში ჯერ ნაადრევია ლაპარაკი ფავორიტებზე, მაგრამ უიღბლოთა დასახელება ახლავს შეიძლება. ესენი არიან: რუსთაველი ფრიდონ ყვავილაშვილი, თბილისელები ნუკრი მუხიგულაშვილი, ავთანდილ ხიზანიშვილი, ზაქარია ბლიაშვილი, გორელი ზაზა გვაზაგაშვილი და სხვები. ამ მოჭიდავეთა მარცხი ასე თუ ისე გასაგებია — ახალგაზრდებს ჯერ არა აქვთ ძეგლსა და რბილში გამჯდარი ქართული ჭიდაობის მაღალი, ისე როგორც, ვთქვათ, ამ ტურნირის ერთ-ერთ ვეტერანს, 40 წლის აბესალომ წიკლაურს, რომელიც აბსოლუტური ფალაგის სახელს ჯერ კიდევ 1978 წელს ფლობდა. წიკლაურმა უკვე ორი შეხვედრა ჩაატარა და ორივე მოიგო.

90 კგ წონაში ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად სამბოში მსოფლიოს ორჯონი ჩემპიონი ჯემალ მჭედლიშვილი ითვლება. მიუხედავად იმისა, რომ მას არა აქვს ფალაგის „საკადრისი“ წონა, ორჯერ (1985 და 1986 წლებში) უკვე იყო აბსოლუტური ჩემპიონი და ალბათ არც ახლა იტყვის ამ ტიტულზე უარს. მჭედლიშვილმა პირველი ბრძოლა თბილისელ არსენ ხატიაშვილთან სარეკორდოდ მოკლე დროში — 55 წამში დაამთავრა.

ძალზე ლამაზი, ეფექტური გამარჯვება მოიპოვა კიდევ ერთმა ექს-ფალაგანმა, თბილისელმა დავით დავითაშვილმა (100 კგ). მან 2,15 წუთში ქართველი ანდრო სანდოძე დაამარცხა.

მაყურებელთა ყურადღება ბუნე-



ბრძოლა ზემოთა წონის მოჭიდავეებისკენ არის მიმართული, ვინაიდან ფალაგის დაბადებას სწორედ აქ ელიან. ჯერჯერობით სხვებზე უკეთეს შთაბეჭდილებას ტოვებს ქართველი მალხაზ ბერუაშვილი, მაგრამ ეს არც უნდა იყოს გასაკვირი. იგი ამ ტიტულს უკვე ოთხჯერ ფლობდა. პირველ წრეში ბერუაშვილმა წმინდად მოუგო თბილისელ ნიკოლოზ მატაშვილს.

...

**სურათზე:** გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში ქართულ ჭიდაობაში გამართული პირველი საერთაშორისო ტურნირის ამხანაველი ეპიზოდები.

აღექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

## პრესკონფერენციაზე...



**პროლეტარიათო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!**

საპარტიო-კულტურის სსრ უიზიარო კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

**26** ნოემბერი, კვირა, 1989 წ. № 226 (10 145) ზსნი 8 კაპ.

გამომცემი 1934 წლის 13 აპრილიდან

## ვულოცავთ! „იმერია“ შეაღწა ლიგაში

**ჩვენს** მკითხველებს ალბათ ახსოვთ: წლებადღეს შემოდგომაზე თბილისში ჩატარდა კეტურთელთა საკავშირო ტურნირი, რომელსაც უნდა გამოეცლინა გუნდი, რომელიც 1990 წლიდან უმაღლეს ლიგაში გამოსვლის უფლებას მოიპოვებდა. ცნობილია ისიც, რომ სტუმართა რამდენიმე გუნდის ხელმძღვანელმა პირი შეკრა და ექვემდებარება თბილისის მატჩების შედეგების ობიექტურობა. გასწავთ საკვებით სპორტსმენთა მოწამლის გაზმარებული პროფკავშირული ამბავიც. საბოლოოდ ის ასპარეზობა თბილისში ვერ და-

სრულდა. ჩასატარებელი დარჩა რამდენიმე მატჩი.


თბილისში დაწყებული ტურნირი ამ დღეებში დამთავრდა ტრასპოლში. თბილისის „ივერიას“ გადამწყვეტი მატჩი ჰქონდა დარჩენილი ვლადიკავკასიის გუნდთან. ქართველმა კეტურთელებმა ჩვეული ოსტატობა სხვის მოედანზე უნაკლოდ წარმოაჩინეს და მეტოქეს ისე სძლიეს, რომ არაკეთილმოსურნეებმა კინტიც ვერ დასძრეს. 10:0 — ასეთი ანგარიშით გაიმარჯვეს ქართველმა კეტურთელებმა და უმაღლესი ლიგის საგზური მოიპოვეს.

## უკვე ექვსი მედალი

**დაუშანბა.** აქ დაიწყო ახალგაზრდა ძიუდოსტთა საკავშირო პირველობა. პირველ დღეს შეჯიბრება სამ წონით კატეგორიაში გაიმართა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი უძლიერესი ძიუდოსტები ამჟამად სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირში ასპარეზობენ, ადგილობრივ ტარტამზე ქართველმა ახალგაზრდებმა უკვე ექვსი საპირისო ადგილი დაი-საკუთრეს.

მომე წონაში ქვეყნის ჩემპიონი გახდა ჯონო ლაბრუნდაშვილი. 95 კგ წონაში ვეფხია კაპანაძეს ვერცხლის, აღექსანდრე დონდუაშვილს კი ბრინჯაოს ჯილდო ხვდა.

86 კგ წონაში ქართველმა ძიუდოსტებმა სამივე ლირსების მედალი მიიღეს. „ოქრო“ ერგო გიორგი გაჩეჩილაძეს, ვერცხლი — ომარ ომარაშვილს, ბრინჯაო — გიორგი მირზაშვილს.



# ლელო

## გრიძელდება

„შემდეგი ბრძოლა ნოდარ დარბაისელთან მქონდა, სწორედ ამასთან, რომელიც მზად არის ხაში რაუნდის განმავლობაში განუწყვეტლივ იერიშზე იყოს და რომლის დარტყმას ხარის წაქცევაც შეუძლია. ამ უროს-მცემელთან ბრძოლა არ შეიძლება... როდესაც რინგზე გამოვედი, დარბაისელმა დაკუნთული მხრები აათამაშა და ბრძოლის მოლოდინში ხელთათმანს ხელთათმანზე ურტყამს. მე ვცდილობდი მშვიდად ვყოფილიყავი და საკუთარ ხვედრს ვუცდიდი. ბრძოლა ისე აეწყო, როგორც ველოდი. შეტევა და დარტყმები, დარტყმები და შეტევა. დარბაისელი ამოხუნტავის ხაშუალებას არ მამლევა. დარბაისი ისეთი გუგუნე იდგა, გონვის ხმა ძლივს გავიგონებ.“

ნაწყვეტი ოლიმპიური ჩემპიონის გენალი შატკოვის წივილიდან „დიდი რინგი“.



**ძმები** დარბაისელების ლეგენდა ჩემი ყრობის დროინდელია. ლეგენდა რეალურია და გამოგონილის სინთეზია და ძნელია განსაზღვრა, რომელი ჭარბობს, მაგრამ ერთის თქმა კი შეიძლება: უმიზნოდ არაფერი არ ხდება. ნოდარ დარბაისელზე წერის დამწერას კარგა ხანია ვაპირებდი — არა მისი წარსული ბრძოლების, არამედ დღევანდელი საქმიანობის შესახებ, რომელიც რამდენიმე წელი თითქმის ჩემი თვალწინ მიმდინარეობდა. ბატონი ნოდარი ჩვენს საბინაო საექსპლუატაციო უბანში (N7) მუშაობს ფიზკულტურის მეთოდისტად, ამის გამო ხშირად ვყოფილვარ მოწმე მის მიერ ჩატარებულ სპორტული ღონისძიებებისა. გარდა ამისა, ჩვენგან ორ ნაბიჯზე მისი სახელობის სპორტკლუბიც, სადაც ვეტრინის სპორტსმენი თემქელ ბიჭებს (და არა მარტო მათ) თავის მიღობს გამოცდილებას უზიარებს. ბატონი ნოდარის ახლანდელი საქმიანობის შესახებ სხვებისგანაც მხოლოდ ქვიშის სიტყვები მესმოდა. როგორც ვთქვი, არაერთხელ გადავწყვეტიე მის შესახებ მეამბნა მითხვებისთვის, ახლა უფრო ხელსაყრელი შემთხვევა მომეცა...

ცნობილი მოკრივის სახელობის სპორტული კლუბი უპირველეს ყოვლისა იმით იპყრობს ყურადღებას, რომ იგი ქართული სპორტის მუზეუმი. კედლებზე გაკრული ფოტოსურათებიდან მსოფლიოს სპორტის ვარსკვლავები შემოგვყურებენ, დარბაისი ყველაფერს მერჩე კაცის ხელი ატყვია, ყველაფერს თავისი ადგილი აქვს მიჩინილი. ასეა დღეს, ამ თთხიოდ წლის წინ, კი ეს შენობა სიეკვო ბიოგრაფიის ადამიანთა თავშეყრის ადგილი იყო, განსაკუთრებით ლოთები ეტანებოდნენ აქაურობას და არცთუ იშვიათად იყო ერთი გამიშვი-დამიჭირე.

ნოდარ დარბაისელი: ადრე აქ საბინაო-საექსპლუატაციო უბნის კანტორის სამშენებლო საწყობი იყო. მოტოციკლით გამოვიარე შემთხვევით. მთელ წელიწადს უმატრონოდ მიტოვებული შენობა ნავით იყო სავსე. მივიარ-მოვიარე, ავწონ-დავწონე და რამდენიმე დღის შემდეგ, ისე რომ არავისთვის მივითხავს, მანქანა დავიჭირე, მოწაფეებიც მომეზარნენ (მასწინ თემქის

დასახლების მიკროსაბჭოში მ.ოხარ-ღებს ვავარჯიშებდი კრივი) და ნაგავი გავიტანეთ. მოსახლეობა ჭრცნობისმოყვარეობით შემომყურებდა — ნეტავ, რას აკეთებთო. თანაც ნაგავი გამქონდა და საყვედურს ხომ არ მეტყობდნენ, სად მივაქვსო. როცა გაიგეს, რომ სპორტული დარბაისის მოწყობას ვაპირებდი, ერთი ვითუშველებელი შექნეს, არც ვინება და გაწვევა-გამოწვევა დაუკლიათ. არა, არა! სპორტული დარბაისის საწინააღმდეგო კი არაფერი ჰქონდათ, გარაეების მოწყობა უნდოდათ. როცა დაინახეს, რომ ჩემი შეშინება არც ისე იოლი იყო და განზრახვანზე ხელს ასე ადვილად არ ავიღებდი, ლუნის რაიონის ხელმძღვანელობა დამაყენეს თავზე. თავიდან ისინიც გამიწყურნენ, მაგრამ როდესაც ჩემი ვინაობა და მიზანი გაიგეს, მხარში ამომიდგნენ. მათი დავალებით შენობა გალესეს, კარ-ფანჯრები ჩასვეს. და აი, 1986 წლის 27 თებერვალს სახეიმი ვითარებაში სიმბოლური გასაღები გადმომცეს. კლუბს ჩემი სახელი ეწოდა. შეფად გვყავს სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა, ხანდახან გვეზმარებიან.

იოლად ითქმის, მაგრამ კლუბის გახსნამდე ბატონმა ნოდარმა თითქმის ყველაფერი თავის-ხელით მოაწყო. მთელ თავისი პენსია დარბაისის მწყობარში ჩაყენებას მოახმარა, მაგრამ მარტო პენსია, ცხადია, ამდენ საქმეს ვერ გასწვდებოდა.

— ძმაცებიც ამომიდგნენ მხა-



რმი. ვისაც როგორ შეეძლო, ისე მუხმარებოდა — ძირითადად სამშენებლო მასალით. მერე და მერე დამღურებული მეზობლებიც შემომიბრუნდნენ, ხელი წამაშველეს.

● ოჯახში როგორ უყურებდნენ თქვენს საქმიანობას? დღეს პენსიონერებს კი არა, ხელფასიანებს ძლივს გაგვაქვს თავი...

— ოჯახში ყველამ კარგად იცის, რომ კრივი ჩემთვის პობი კი არა, ცხოვრების აზრია, მაგრამ ხანდახან მაინც მაგრძნობინებდნენ, მეტისმეტი მოვლისო. ერთხელ ჩემმა მეუღლემ ისიც კი მითხრა, სახლში რაოდენ მოდიხარ, ბარემ იქ დაგვძინო. ეს ტახტი, მაგიდა, სკამები ყველაფერი სახლიდან მაქვს მოტანილი, რა ვქნა, აქაც ხომ საკირია სიმყუდროვე, სტუმარ კაცს ფეხზე ხომ ვერ დავაყენებ.

— ნოდარ მასწავლებელი, კვირას როდის მოვიდეთ ხალხების დასაბერტყად? — საუბარი შეგვაწყვეტინა ორმა მოზრდილმა ბიჭმა და შემდეგ ერთ-ერთმა თვითონვე გაავარძელა: — სამი საათისთვის გვაქვს თავისუფალი დრო, აქ იქნებით?

— სად წავალ, წყალქვეშა ნავის ეკიპაჟის წევრებისა არ იყოს. — გაეცინა ბატონ ნოდარს.

### ● დამლაგებელი თუ გყავთ?

— კი, როგორ არა, მაგრამ ხელფასს ვერ ვუხდით.

### ● ?

— ჩემი ცოლი იზოლდა გვილაგებს, როცა დროს პოულობს.

დარბაისიდან ნახევრად იზოლირებულ მუხურთ, პატარა კაბინეტში, სადაც მე და ბატონი ნოდარი ვსაუბრობთ, კედლებზე მასპინძლის ორმოცი წლის წინანდელი კრივის ხელოთმანი კილია. პატარა თაროზე სპორტული წიგნები აწყვია. უმრავლესობა კრივის ეხება. აქ არის ჩემი მასპინძლის წიგნი „რინგი და ცხოვრება“, რომელშიც ვეტრინის თავისი გამოსვლების შესახებ მოგვითხრობს. სხვათა შორის, მალე მეორე წიგნიც დაიბეჭდება. მასში საქართველოში აღზრდილ მოკრივეთა სპორტული ბიოგრაფიები შევა.

— ამ წიგნებს ჩემი შეგირდები კითხულობენ. სპორტსმენმა უნდა იცოდეს თავისი არჩეული სახეობის ისტორია.

### ● რამდენი მოზარდი ვარჯიშობს კლუბში?

— ორმოცდახუთი. ორ ჯგუფად არიან გაყოფილი. ორი წელია 9 მაისს, გამარჯვების დღეს, გამოჩენილი მოკრივეების ლეგან ლუდუშაურისა და ფრიდონ ლომიძის თასის



ლია გათამაშებას ვატარებთ. შარშან წელს ლეგან ლუდუშაურის პრიზი ჩვენი კლუბის აღზრდილებმა ვასო ნატროშვილმა და ზაქარო წერუაშვილმა მოიპოვეს. წელს ჯანმრთელობის ჯგუფიც გაგხსენით. სამშენებლო აბონემენტები გვაქონდა. ორმოცდაათ წელს გადაცილებული ექვსი ქალი დადიოდა. ხუთი თვე ავარჯიშეს და შემდეგ მიატოვეს მეცადინეობა — კარგად ვგრძნობთ თავსო. ახლახან კვლავ მოვიდა რამდენიმე ქალი. ენახოთ, შეიძლება ისევე გავხსნათ ჯგუფი.

სხვისი რა მოგახსენით და ნოდარ დარბაისელს მე მხოლოდ ისე ვიცნობდი, როგორც მოკრივეს. წარმოადგენდა არ მქონდა, რომ იგი ათზე მეტ ქართულ ფილმშია გადაღებული. მართალია, ეპიზოდურ როლებს ასრულებდა, მაგრამ მაინც.

— პირველად „აკაკის აკვანში“ გადამიღეს ეპიზოდურ როლში. შემდეგ „პრიტიკში“ გადასაღებად მიმიწვიეს. ამას მოჰყვა „აბესალომ და



ეთერი“, „ჩრდილი გზაზე“, „მამულუქი“, „შეხვედრა წარსულთან“, „ცისკრის ზარები“, „დიდოსტატის მარჯვენა“, „ბოლიში, თქვენ გულით სიკვდილო“, „მაცი ხვრტი“. თითქმის ყველა ამ ფილმში მისდებოდა ცხენით ჯირითი, ხმალაობა, კიდაობა. კაბუკობაში ჩემს სოფელ ახალქალაქში, კასპის რაიონში, რომ იტყვიან, ცხენთან ვიყავი შეზრდილი. ეს შემდეგ კინოში გამომაღდა. აქ კასკადიორობაც ხშირად მიწევდა, რადგან ადრე ქართულ ფილმში პროფესიონალი კასკადიორები არ ჰყავდათ. „მაცი ხვრტიში“, გარდა იმისა, რომ ერთ-ერთი ყაჩაღის როლს ვთამაშობდი, გოგი ქვთარაძისა და აწ განსვენებული რეზო ხობუას დუბლიორიც ვიყავი. ალბათ გახსოვთ ძვიზის (რეზო ხობუას) ცხენის კულზე რომ გამოაბამენ, ის მე

გახლდით. ერთხელ მთავარი როლის შესრულებაც მომიხდა, მაგრამ ეს უკვე მოზარდ მაყურებელთა თეატრში იყო, სადაც 1954 წელს ამინისტრატორად ვმუშაობდი. „ფარავნელ კაბუკში“ მეფის როლის შესრულებელი გიორგი დარისპანაშვილი ავად გახდა. რეჟისორმა მთხოვა როგორმე უნდა გადაგვირჩინო, დარბაისი მაყურებელთა სახესო. როლი ზეპირად ვიცოდი და თავატიე აღარ გამომიდგია.

ბატონი ნოდარის ცხოვრება მდობარია თავგადასავლებით, ვისაც აინტერესებს, შეუძლია მისი ბიოგრაფიის ნაწილს გაეცნოს მისსავე წიგნში „რინგი და ცხოვრება“, ჩვენ კი კვლავ ვეტრინის ბოლოდროინდელ საქმიანობას გვიჩვენებდნენ. ამ მოსუვენარ კაცს უქმად ვერ ნახავთ. რამდენიმე წლის წინ თემქის დასახლების მესამე მიკრორაიონში, სადაც მიკროსაბჭოში მუშაობდა, ქართული კიდაობის პოპულარიზაციისათვის თითქმის მარტომ მოაწყო საკვიდო არენა, მხოლოდ ნახევრის მოწინაში დაეხმარნენ.

ეს სარბიერი ცნობილი ფალანგის კულა იანვარიშვილის (გლდანელის) სახელს ატარებს. ეს არის ჩვენი ერთგულნი კიდაობის ერთ-ერთი ტრადიციული კერა, სადაც არაერთი გამოჩენილ მოკვიდავეს თუ ახალბედს უცდია მკლავისა და მუხლის ძალა.

ქართული კიდაობის პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი წვლილი სათვის ნოდარ დარბაისელი არაერთხელ დაუჯილდოვებიათ საპატრიოსიკო.

— მომავლის გეგმები? საპროექტო ინსტიტუტმა ჩვენი დარბაისის თავზე საზოგადოებრივ საწყისებზე დააპროექტა მთელი სართული, რომლის მშენებლობა 66 ათას მანეთადაა შეფასებული. მშენებლობას აფინანსებს ქალაქის საბინაო მეურნეობის სამმართველო. მშენებლობა, როგორც დაგვირდნენ, იანვარში დაიწყება...

ვინც ჩვენი სასიქადულო მოქანდაკის მერბ ბერძენიშვილის სახელობის ცოფილი, უთოოდ ყურადღებას მიაქცევდა „მოკრივე ნოდარ დარბაისელის პორტრეტს“. მასზე აღწერილია თარიღიც — 1951 წ. ეს ბატონ მერბის სადილობო ნაშრომი. მასში ნათლად იკითხება ქართველი მოკრივის ვეჯაკური შემართება და ბრძოლის ყინი. მშენებლობა: ოცდაორი წლის კაბუკი გახლდით. მას შემდეგ 38 წელი გავიდა...

### ჯამალ კახრაძე

ს უ რ ა ბ ე ზ ე: ზევით, მარჯვნივ, — ნოდარ დარბაისელი ფილმ „მაცი ხვრტიში“; ვარჯიშის მომენტები.

ავტორის ფოტოები.

### გაითხველის თხოვნით

## ინსპექტიონი კახიანის შესახებ

**ქაითეპან** კახიანის ბედი ბევრ ქალაქის გულშემოტკივარს აწუხებს. ბევრი გვირეკავს რედაქციაში, გვეკითხებიან თუ რატომ თამაშობს იგი ასე არათანაბრად 49-ე საკავშირო ჩემპიონატში, კახიანისგან ხომ ყველა მაღალ შედეგებს მოელოს. ვოლესკო, სადაც ეს ჩემპიონატი ტარდება, გუშინ დავუკავშირდით მოქალაქის მწვრთნელს,

საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს გიორგი მაკარაშვილს. აი, რა გვითხრა მან:

— პირველ ყოვლისა, დიდი მადლობა გულშემოტკივრებს უყრადღებისათვის. სიმართლე გითხრათ, ახეთ დახაწყის არ ველოდი, ანდა, ვინ ვეგმავს წინასწარ ზედინდორ მარცხს ტურნირის სტარტზე. ისიც უნდა ვთქვა, რომ შეჭიბრე-

ბა მეტად დაძაბულად მიმდინარეობს, არც გამოკვეთილი ლიდერი ჩანს და არც „შეარა“ აუტსაიდერი. დამარცხებელიც არავინ დარჩენილა, თუმცა ჭერ მხოლოდ შვიდი ტურის შეხვედრებია გათამაშებული. რაც შეეხება ქეთევანის თამაშს, იგი წლეულს ბევრ ტურნირში გამოვიდა და, როგორც იცით, ყველაგან წარმატებით, მაგრამ ამ ჩემპიონატის წინ ორი თვე არხად უთამაშია, სათანადო პრაქტიკა ვერ მიიღო. ეტყობა, მან ცუდი ხამახური გაგვიწია. დახაწყისში ცაიტნობების ტყეობაში იყო. მერე და მერე კი უკეთ ათამაშდა, ორი პარტიაც მოიგო და მესამეც მოხაგები ჰქონდა (ფირუზა ველიხანლიძთან), მა-

გრამ მოხდა სრულიად მოულოდნელი რამ — ქეთევანმა ორი უბრეში შეცდომა დაუშვა და მესამე პარტის იწვინა. ახლა კი მან იმინა უმანსკაიას სძლია. და მაინც, ვფიქრობ, კრიზისი უკან დაგვრია, ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს დღევანდელ შეხვედრას აინურ სოფიევასთან, სადაც ქეთევანი შავი ფერებით თამაშებს და IX ტურს, რომელშიც კახიანი თეთრებით ხვეტლანა პარულეიკვას ხვდება. კარ შეცდებია, თუ ვიტყვი, რომ ამ ორმა პარტიამ დიდად უნდა განხაზღვროს ხაზილო შედეგი.

VII ტურის სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: დომინა — ნებეინა 1:0, დომეკუტ — კოზლოვსკაია 0:1,

ლეოლუკი-პოპოვი — ხარკოვა 1:0, ჩიოლუშკინა — პრუნდაკოვა 0:1, შერემეტევა — სოფიევა 0:1, სტრიკოვა — შაფრანსკა 0:5:0:5, გოდაილი სემიონოვა — ველიხანლია და სხვატოვა — უსკოვის შეხვედრები.

VI ტურის გადაღებულ პარტიაში სოფიევა დანებდა ჩიოლუშკინას. 7 ტურის შემდეგ 5. სიტუაცია 5 ქულა აქვს. შემდეგ მოდიან: ს. პრუნდაკოვა, ვ. კოზლოვსკაია, ზ. ლეოლუკი-პოპოვი, ი. ჩიოლუშკინა, ა. სოფიევა — 4,5-4,5. A. კახიანს 3,5 ქულა აქვს და ჭარჯვრებით IX-XI ადგილებს იყუფს.

„ლელოს“ კორ.

# საბჭოთა ნაკრები 1989 წელს

### სტაბილური მომზადება

1989 წელს სსრ კავშირის ფეხბურთელთა პირველმა ნაკრებმა სულგამართა 9 ოფიციალური საერთაშორისო შეხვედრა, რომელთაგან 4 მოიგო, 2 წაიგო და 3 ფრედ დაამთავრა. ბურთების შეფარდებაა 11:7.

**ნაბრუნებელი** მატჩებში მონაწილეობა მიიღო 33-მა ფეხბურთელმა. ყველაზე მეტი წარმომადგენელი ჰყავდა: კიევის „დინამოს“ — 13, შემდეგ, მოსკოვის „დინამოს“ — 5, სპარტაკს — 4, „ლოკომოტივის“ — 2, „დნებრს“, „ტორპედოს“, ცსკა-ს, თბილისისა და მინსკის „დინამოს“ — თითო. უცხოეთის გუნდებიდან: „უვენტუსი“ — 2, „სევილია“ და „ტოლუზა“ — თითო.

**ნაბრუნების** რიგებში გამოდიოდა 10 დებიუტანტი. **ჰამლეტ** დიდი სტაჟი აქვს ვ. ბესონოვის (1977 წლიდან ნაკრების შემადგენლობაში), ვ. ხილიატუნის — 1978 წლიდან, რ. დასაევს — 1979 წლიდან.

**ნაბრუნების** თამაშებს დაესწრო სულ 435.000 კაცი, აქედან 198.000 შინ. ყველაზე მეტი მაყურებელი მოვიდა კიევიზ ნაკრებულმატჩზე გორის გუნდთან — 100.000.

**წმინდი** ფეხბურთელებიდან გაფრთხილება დაიმსახურეს ო. კუნევიკოვა — 2, ვ. რაცმა, ს. ალფინიკოვა, ა. ზავაროვა, ვ. ბესონოვა, ო. ლუქინი, ს. გორლუკოვიჩი, ვ. ხილიატუნისა — თითო.

**1989 წელს** ნაკრების შემადგენლობაში გამოვიდნენ: ს. გორლუკოვიჩი, მ. ლიტოვჩენკო, ო. პრატასოვი, ო. კუნევიკოვი, ს. ალფინიკოვი, ი. დობროვოლსკი, ა. ზავაროვი, ვ. რაცი, რ. დასაევი, ა. მიხაილიჩენკო, ო. ლუქინი, ა. ზიმბანტოვიჩი, ვ. ჩანოვი, ი. სავინევი, ა. ბოროდოვი, ვ. ბესონოვი, ვ. კერაშვილი, ფ. ჩერენკოვი, ვ. ხილიატუნისი, ა. დემიანენკო, ა. ჩერენკოვი, დ. ხარინი, ი. იარემჩუკი, ვ. კულკოვი, ბ. ბელანოვი, ს. როდიონოვი, ა. ბალი, ს. კირიაკოვი, ი. კოლოვანოვი, ი. კალიჩევი, ვ. შვაროვი, ს. ფოკინი, ა. კონჩესკისი.

**უფროსმა** მწვრთნელმა ვ. ლობანოვსკიმ სულ 66-ჯერ უხელმძღვანელებს ნაკრებს.

**პაპა ცაგარეიშვილი.**

## ფეხბურთის მინდორი — სუვენირებად

1990 წლის ფეხბურთის მსოფლიო პირველობის დაწყებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა, მაგრამ იტალიელები უკვე ითვლიან მოგებას, რომელსაც ჩემპიონატი მოიტანს. მაგალითად, რომის „სტადიო ოლიმპიკოს“ მინდორის საფარი, სადაც 1990 წლის 8 ივლისს ჩემპიონატის ფინალური მატჩი უნდა გაიმართოს, გადაითხრება და გაიყიდება სუვენირებად. იტალიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის (კონი) პრეზიდენტი არიგო ვატაი თვლის, რომ ეს „შოპრაკია“ დიდ მოგებას მოიტანს. კონი სტადიონის მეპატრონეა და ერთ-ერთმა მისმა სპეციალურმა კომისიამ დაამუშავა ეს უჩვეულო იდეა, რომელიც მას დასავლეთგერმანულმა ფირმამ შესთავაზა. ვატაი არ ასახელებს კონკრეტულ ციფრს თანხისა, რასაც ოპერაცია მოიტანს, მაგრამ კონი-ს ერთ-ერთ წარმომადგენელს წამოცდა, რომ შემოსავალი 10 მილიარდ ლირას (7,5 მილიონი დოლარი) შეადგენს.

— იდეა საკმაოდ ორიგინალურია და, რა თქმა უნდა, ასეთი სუვენირის შექმნის მსურველი მრავლად გამოჩნდება, — დასძინა მან.

დასავლეთგერმანულმა კომპანიამ „პიოლი მანგოლ უნდ ბუბერტმა“ იკისრა „სტადიო ოლიმპიკოსზე“ ახალი ბალახის საფარის დაგება. 7350 კვადრატული მეტრი საფარის ღირებულება, სპეციალისტების აზრით, დაახლოებით 600 მილიონი ლირა (450 ათასი დოლარი).

## პეროვის სუპერთაშვი

**პარალელურად** შედგა ევროპის სუპერთაშის პირველი მატჩი ფეხბურთში 1989 წლის ჩემპიონთა თანხის მფლობელ იტალიის „მილანსა“ და თასების მფლობელთა თასის მფლობელს ესპანეთის „ბარსელონას“ შორის.

## II Rassegna di Palermo International Sportfilmfestival



პალერმის ფესტივალის პრემიურებული ფილმების ბუკლეტის ყდა (ზევით) და ნუსხა.

Year	Film	Director	Nation
1979	No Competition		
1980	No Competition		
1981	Golden The Jericho Mile	Michael Mann	USA
	Silver Stealin	Jozsef Csaba	H
1982	Golden King of the mountain	Noel Nasack	USA
	Silver Der Regen Brun Trauma	Christian Wulfsberg, Michael Walker	F
1983	Golden Mito Barun, Tulumu		
	Silver Mito Barun, Tulumu		
1984	Golden L'epoca d'oro del calcio	Pal Sander	H
	Silver Questo forte sesso debole	Dimitri Polonski	USSR
	Silver Bestatt	Franz Marzoff	I
1985	Golden Il battitore	Zeki Oztan	TR
	Silver Mihael Cestari	Mihal Cestari	H
	Silver Rallye Paris-Dakar	Peter Wetz	F
1986	Golden Neschke Fiovera	Cheorghj Dalgheor	BG
	Silver Dnyaplybi Otch	Vladimir Stranek	CZ
	Silver Life Homing BMYers	Harvey Schwartz	USA
	Silver Storia della bicicletta...	Augusto Flocchi	I
1987	Golden Un ragazzo di Calabria	Luigi Comencini	I
	Silver Gravity Never Sleeps	Kari Bakby	USA
1988	Golden Giviva il calcio georgiano	Alexander Shargens	USSR
	Silver Uno, dos, see es	Miriam Tabares	C



## გააფთრებელი ფანატიკოსები

**ბელგრადში** აუწყრელი ავიოტაქსისა და უწყრეობის ვითარებაში მიმდინარეობდა იუგოსლავიის საფეხბურთო თასის გათამაშების ფინალური მატჩი ადგილობრივი „პარტიზანსა“ და ზაგრების „დინამოს“ შორის. შვიდმა პოლიციელმა სხვადასხვაგვარი დაზიანება მიიღო გააფთრებელი „ფანატების“ დაშოშინების დროს. 22 გულშემატკვარი დააპატიმრეს.

თამაშის 44-ე წუთზე 1-მეტრიანი ანგარიში გახსნა „მილანის“ ფეხბურთელმა ვან ბა ტენმა. 67-ე წუთზე კი ესპანელმა „ბარსელონის“ ბურთი გაიტანა — 1:1. ამ გუნდების მეორე შეხვედრა 7 დეკემბერს გაიმართება მილანში.

# კიდევ ერთხელ: „გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს!“

### იტალიის შერალის ფარცლავა

**ამას წინათ** იტალიიდან საქართველოს კინოცენტრში მოვიდა სქელტანიანი, მოხდენილი დასტამბული ჟურნალი და მოგროვო ფორმის ბუკლეტი, რომლებიც მთლიანად სპორტული ფილმების პალერმის XI საერთაშორისო ფესტივალს მიეძღვნა. თარჯიმნის დახმარებით ვეცნობით გამოცემათა შინაარსს. იი, პალერმის ტრადიციული ფესტივალის ყველა წლების, დაწყებული 1979 წლიდან, შედეგები — ფილმების, სცენარის ავტორების, რეჟისორების სრული სია. აქ არიან ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, უნგრეთის, თურქეთის, ბულგარეთის კინემატოგრაფისტთა მიერ შექმნილი სურათები. ალბათ ისიც საინტერესოა, რომ 1987 წელს ეს პრიზი დაიმსახურა ცნობილი იტალიელმა კინორეჟისორმა ლუიჯი კომენჩინიმ მხატვრული ფილმისთვის „კალაბრიელი ყმაწვილები“.

და აი, სიის ბოლოს ვკითხულობთ: „სსრ კავშირი, საქართველო, რეჟისორ ალექსანდრე ჟღერის სრულმეტრაჟიანი ფილმი „გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს!“ დიან, საბჭოთა კავშირიდან პირველმა სწორედ ქართველ კინემატოგრაფისტთა ნამუშევარმა მოიპოვა შერალის პალერმის სპორტული ფილმების საერთაშორისო კინოფესტივალის პირველი პრიზი — „ოქროსი პალადინი“. (ამის თაობაზე „ლელი“ თავის დროზე იუწყებოდა).

სიცილიის ქალაქ პალერმში (იგი, როგორც ცნობილია, იმავე წელს თბილისის დამშობილებული ქალაქი გახდა), მართლაც დიდი მოწონებით შეხვდნენ ჩვენს ფილმს. მთავარ მეტოქეობას ოქროს პრიზისთვის მას რეჟისორ მირიამ ტალავერას (კუბა) სურათი „ერთი, ორი, სამი...“ უწყევდა. ქუთურის წვერებმა პირველობა ერთხმად ქართულ ფილმს მიაკუთვნა. ქურნალს თავის ფურცლებზე ამ სურათიდან რამდენიმე კადრი მოუთავსებია, აქვეა პალერმის ფესტივალის მას რეჟისორ მირიამ ტალავერას (კუბა) სურათი „ერთი, ორი, სამი...“ უწყევდა. ქუთურის წვერებმა პირველობა ერთხმად ქართულ ფილმს მიაკუთვნა.

**„გრან-პრი“**  
**იტალიიდან**  
**PRIMO PREMIO DALL'ITALIA**  
Tbilisi 23-10-1988

ახე, ორ ენაზე — ქართულად და იტალიურად — დახატაურდა მახალა ჟურნალში.

ვალის მონაწილე ა. ჟღერის, გაზეთ „თბილისიდან“ გადმობეჭდილი მასალა სათაურით ქართულ ენაზე „გრან-პრი“ იტალიიდან. ქურნალის რეცენზენტი წერს, რომ „გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს“ ეს არის ფილმი, რომელშიც „ერთი თვალის გადავლებით ნახევენება გზა ქართული ფეხბურთის დასაწყისიდან, ე. ი. მე-19 საუკუნის დამლევიდან, ვიდრე დღევანდლამდე. ავ-

ტორებს მეტად იშვიათი და ძვირფასი საარქივო მასალა გამოუყენებიათ. ფილმის რეჟისორი ორიგინალურ ლირიულ ფონს იყენებს — ფეხბურთის განვითარებასთან ერთად თვით საქართველოს კულტურულ ზრდასაც, დღევანდელმდღისაც გვიჩვენებს“. ქურნალში მთლიანადაა მოყვანილი ფილმში შესული „კაპიტანის სიმღერა“ (ლექსი მორის ფონცივილის, მუსიკა ვაჟა აზარაშვილის) — მეტად ხალციხისა და ოპტიმისტური სტილით: „ქართულ ფეხბურთს თამაშობენ ქართველები — გიხაროდეს, კაპიტან!“ ფილმი ისე მოეწონათ იტალიელებს, რომ ავტორმა მათი თხოვნით ასლი აჩუქა მასპინძლებს.

საინტერესოა იტალიელი ავტორის ანტონინო ელის (მას ქართველი დედა ჰყვოდა) მასალაც „პალადინი“ ქართულად დახატაურდა. სხვათა შორის, ამაყი რაინდი „პალადინი“ სიცილიის ერთგვარი სიმბოლოა, იგი მარიონეტების თეატრის მულდვი პერსონაჟია.

იქვე პალერმის ფესტივალზე, როგორც ცნობილია, გამოიქვეა აზრი, რომ იტალიელმა და ქართველმა კინემატოგრაფისტებმა რეგულარულად გაცეკალონ ერთმანეთთან სპორტული (და, ალბათ, არა მარტო სპორტული) კინოფილმები — მოაწყონ მათი რეტროსპექტივა რიგრიგობით იტალიასა და საქართველოში. დიდი მოწონებით შეხვდნენ იტალიაში ჩვენი წარმომადგენლის ცნობას იმის თაობაზე, რომ თბილისში განზრახულია ჩატარდეს საფეხბურთო ფილმების უნიკალური საერთაშორისო ფესტივალი სახელწოდებით „გაუმარჯოს ფეხბურთს!“.

ოთარ ნოზაძე.



**სურათზე:** მარცხნივ — პალერმის მერის ორლანდის შეხვედრა ფესტივალის მონაწილეებთან; მარჯვნივ — კადრი ფილმიდან (დოკუმენტური ფოტო).

**გარასტასი ბრალს სდებს საბონისს**

**პალატაურთელ** ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველ მატჩში ოლიმპიური ჩემპიონის — საბჭოთა კავშირის ნაკრების მარცხმა ჩეხოსლოვაკიასთან, უცხოეთის სპორტული პრესის ფართო კომენტარები გამოიწვია. მიმომხილველები ამ შედეგს ტურნირის მთავარ სენსაციად მიიჩნევენ.

მაინც როგორ მიმდინარეობდა ოლიმპიური ჩემპიონისთვის ეს უარესად დრამატული მატჩი? პირველი ტაიმის მეშვიდე წუთამდე საბჭოთა ნაკრები (სასტარტო შემადგენლობა: რეხციკი, ტინონევი, სოკი, კურტინიტი, ხომიჩუსი) წინ იყო. მეორე მატჩის საბოლოო ქტური სროლის შემდეგ ინიციატივა ჩეხების მხარეს გადავიდა, რომლებმაც უპირატესობა შეინარჩუნეს ბოლომდე.

მეორე ტაიმში სხვაობა 21 ქულამდე გაიზარდა. მსაჯის საფინალო სასტენამდე ორნახევარი წუთით ადრე კი საბჭოთა კალათბურთელებმა სხვაობა 5 ქულამდე დაიყვანეს, მაგრამ მეტი ვერაფერი მოახერხეს.

საბჭოთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი ვლადას გარასტასი ამ მარცხს მთლიანად არვიდას საბონისს აბრალებს, რომელიც, როგორც ცნობილია, ესპანეთის კლუბ „ფორუმში“ თამაშობს.

— შეთანხმების თანახმად ესპანეთის კლუბმა საბონისს ჩეხოსლოვაკიაში ჩასვლის უფლება მისცა. ჩვენ მას თვითმფრინავის ბილეთიც გაუშვავენთ, მაგრამ საბონისი პრალის ნაცვლად აშშ-ში გაფრინდა, სადაც იმ დღეებში კაუნასის „ჟალოგორისს“ ჰქონდა ტურნი. საბონისმა გააწვია გუნდი და ამისთვის უნდა დაისაჯოს. მის გამოუცხადებლობას არა აქვს გამართლება, — თქვა გარასტასმა.

თითო

გამარჯვება და მარცხი



დარბაზი (ჩრდილოეთ კარლინას შტატი, აშშ). საბჭოთა კავშირის კალათბურთულ ვაჟთა პირველმა ნაკრებმა დაამთავრა ტურნე აშერით...

საბჭოთა მატჩში გამარჯვების შემდეგ მეორე ნაკრები ამ ქალაქში ადგილობრივი უნივერსიტეტის ნაკრებთან დამარცხდა — 78:103 (45:48). პირველი ტაიმი, რომელშიც განსაკუთრებით გამოიჩინა სერგეი პოპოვი...

„სპორტპროგნოზი“

გამართიანება „სოიუსსპორტლოტომ“ შეჯამა „სპორტპროგნოზის“ 1989 წლის 47-ე ტირაჟის შედეგები. ტირაჟში დაშვებულია 3.362.381 ვარიანტი...

საქართველოში: დაშვებულია 28.340 ვარიანტი. 13—0, 12—0, 11—13. 47-ე ტირაჟის მოგებები გაიცემა 1989 წლის 9 დეკემბრიდან 1990 წლის 9 იანვრის ჩათვლით.

საპარტამო კომპოზიცია


ვინ არის ავტორი?

საპარტამო ამოცანისა და ეტიუდის გადართვის დროს კონკურსის მსაჯებს, სპეციალისტებს, ამომსწველებს პირველ რიგში ნაწარმოების სიუჟეტი და მხატვრული ლირიკა აინტერესებთ...

დღეს ჩვენი რუბრიკის სტუმარია თბილისელი საპარტამო კომპოზიტორი იური აკობია, რომელსაც უკვე კარგად იცნობენ საპარტამოს დამწყები პრობლემისტები და ამომსწველები...

ცემა პროფესიული ხასიათი 1975 წლიდან მიიღო, როცა თბილისში საპარტამო კომპოზიტორთა საერთაშორისო კონგრესი ჩატარდა და მან პირადად გაიცნო საკომპოზიციო ხელოვნების ბევრი თვალსაჩინო წარმომადგენელი...

0. აკობია, დ. გურგენიძე, 1987




ყაიმი

ხელმძღვანელი ვაჟი ნიქიძე

სამ ათასზე მეტ ნაწარმოებს მრავალხარისხიანი საპარტამო კომპოზიტორი ნიქიძე უნივერსიტეტის სტუდენტობის დროიდან დაიწყო შექმნას. მისი ნაწარმოებები კატეგორიის მსახიობი აკობია ჩვენი საკომპოზიციო კომისიის აქტიური წევრია...

0. აკობია, დ. გურგენიძე, 1988



მოგება

ველით თქვენს ამოხსნებს, ძვირფასო მეგობრებო!

იტალიური ფეხბურთი 91 წლის ვახდა და თითქმის საუკუნის განმავლობაში ეს თამაში ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური მდგომარეობის, ერის გუნება-განწყობილების მაჩვენებელი გახლავთ. იტალიური ფეხბურთი აღსავსეა წინააღმდეგობებით, ავადობებით და დაკნინებით...

მოქმედებდა პატრიოტიზმის მძლავრი ძრავის საშუალებით და არც გამარჯვებებს დაუფლავებია. იტალიამ 1934 წელს უმასპინძლა მსოფლიოს მეორე ჩემპიონატი და პირველობა არავის დაუთმო. ფინალურ შეხვედრაში „სკუადრა აძურამ“ დაამარცხა ჩეხოსლოვაკიის ნაკრები ანგარიშით 2:1...

მეცხრე ჩემპიონატის ფინალში იტალიელები ჯანგარიშით 1:4 დამარცხდნენ ბრაზილიის ნაკრებთან. 1978 წელს არგენტინაში, მსოფლიოს მეოთხედი ჩემპიონატზე იტალიის ნაკრები მეოთხე ადგილზე გავიდა, 1982 წელს იტალიამ მესამედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. მადრიდში, ფინალში მან დაამარცხა ვერის ნაკრები — 3:1. ფინალურ მატჩში გუნდის შემადგენლობა ასეთი იყო: მონტი, პონჩელი, ალემანი, ფერარისი, მონტი, ბერტოლინი, ჯეატი, მეაცა, სკავიო, ფერარი, როსი. იტალიის ოლიმპიური ნაკრები 1936 წელს ბერლინში ოლიმპიური თამაშების ჩემპიონად გახდა...

ფორმა, კალმის!

2:1. 1938 წელს „სკუადრა აძურამ“ შეინარჩუნა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული უნგრეთის ნაკრებთან ფინალში (4:2). გამარჯვების შედეგად, ფინალურ მატჩში გუნდის შემადგენლობა ასეთი იყო: ოლივიერი, ფანი, რავა, სერანტანი, ანდრეოლო, ლოკატელი, ბევაჯტი, მეაცა, პიოლა, ფერარი, კოლაუსი.

იტალიურმა კლუბებმა ევროპის საკლუბო ტურნირების 16 თასი მოიგეს. ორ უკანასკნელ წელს — „მილანმა“ ევროპის ჩემპიონთა თასი, ხოლო „ნაპოლმა“ უეფა-ს თასი მოიპოვა. გათავაზობთ ამ კლუბების მოკლე სავიზიტო ბარათებს: „მილანი“ დაარსდა 1900 წელს (ამ სახელით თამაშობს 1938 წლიდან). სტადიონი: ჯუზეპე მეაცას სახელობის („სან-სირო“), 83.800 ადგილი; ჩემპიონთა თასის მფლობელი 1963, 1969, 1989 წ.წ.; თასების მფლობელთა თასის მფლობელი 1968, 1973 წ.წ.

მეორე მსოფლიო ომში იტალიის ფიასკომ მთლიანად მოახრჩია იტალიური ფეხბურთის სტრუქტურა. ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს არ გააჩნდა სახსრები ფეხბურთის ხელახალი რეორგანიზაციისათვის. საქმეში კვლავ სახელმწიფო ჩაერია, ფედერაციის გამოუყვეს სახსრები სახელმწიფო საფეხბურთო კლუბ-ლიზატორიდან. 50-60-იან წლებში იტალიელთა წარმატებები სავრთავის სარბიელზე შედარებით მოკრძალებული იყო. ეროვნულმა ნაკრებმა მოიპოვა გამარჯვებები ცენტრალური ევროპის ქვეყნების თამაშებზე 1959, 1963, 1967 წლებში. ოქროს ბურთის ლაურეატები გახდნენ სიგორი („იუვენტუსი“) 1961 წელს და რივერა („მილანი“) 1969 წელს.

„ინტერი“ დაარსდა 1908 წელს (ამ სახელით თამაშობს 1945 წლიდან), სტადიონი: ჯუზეპე მეაცას სახელობის; ჩემპიონთა და ინტერ-კონტინენტალური თასების მფლობელი 1964, 1965 წლებში. „იუვენტუსი“ დაარსდა 1899 წელს; სტადიონი: „კომუნალი“, 71.000 ადგილი; სუპერთასის და თასების მფლობელთა თასის მფლობელი 1984 წელს; უეფა-ს თასის მფლობელი 1977 წელს; „ფიორენტინა“ — დაარსდა 1926 წელს, სტადიონი: „კომუნალი“, 68.000 ადგილი; თასების მფლობელთა თასის მფლობელი 1961 წელს.

კალჩოს ისტორიის მესამე ეტაპი იწყება 70-იან წლებიდან. 1968 წელს იტალიის ნაკრები ევროპის ჩემპიონი გახდა. ფინალში მან განმეორებით მატჩში (პირველი დამთავრდა ფრედ — 1:1) დაამარცხა იუგოსლავიის ნაკრები — 2:0. ფინალურ შეხვედრაში გუნდის შემადგენლობა ასეთი იყო: ძოფი, ბურჩინი, სივალდორე, გუარინერი, ფავეტი, როსატო, დი სისტო, ქლომენგანი, მაკოლა, ანასტაზი, რივა. 1970 წელს მექსიკაში, მსოფლიოს

ლეს აიძულებდა მთელი თავისი კარიერა ერთ კლუბში ეთამაშათ და დაკმაყოფილებული კონტრაქტები. მაგრამ არ უნდა გამოგვრჩეს ერთი მნიშვნელოვანი მომენტი — იტალიაში უცხოელი ფეხბურთელების იმპორტი. უცხოელი ფეხბურთელების მიზიდვის პრაქტიკა მხოლოდ ომის დამთავრების შემდეგ დაიწყო. 50-იანი წლების შუისათვის იგი უკვე ფართოდ დაიწვრდა, მოგვიანებით შეიზღუდა და ბოლოს, 80-იან წლებში იტალიაში მთელი მსოფლიოს უძლიერეს ფეხბურთელებს მოუყარა თავი.

„სპორტლოტომ“

გამართიანება „სოიუსსპორტლოტომ“ შეჯამა „სპორტლოტომ“ 1989 წლის 47-ე ტირაჟის შედეგები.

„სპორტლოტომ 645“-დან: ტირაჟში დაშვებულია 1.501.580 ვარიანტი. 6 ნომრის არავის გამოუყენია. 5 ნომრის გამოცნობისთვის (72) მოგება 720 მანეთია, ოთხისთვის (2.391) — 28, სამისთვის (35.473) — 3.

საქართველოში: დაშვებულია 33.875 ვარიანტი. 0—0, 5—1, 4—42, 3—790.

„სპორტლოტომ 586“-დან: ტირაჟში დაშვებულია 16.126.827 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (35) მოგება 10.000 მანეთია, ოთხისთვის (8.441) — 96, სამისთვის (251.181) — 5.

საქართველოში: დაშვებულია 420.406 ვარიანტი. 5—0, 4—193, 3—6214.

47-ე და 38-47 ტირაჟებში მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1989 წლის 9 დეკემბრიდან 1990 წლის 9 იანვრის ჩათვლით.

რედაქტორი თ. ბაჩინილაძე.

სპორტული ლაბარირების მოთამაშეთა სახურადლეგო!

ა/წ 10 დეკემბერს შედგება „სპორტლოტოსა“ და „სპორტპროგნოზის“ 50-ე ტირაჟები, სადაც გათამაშდება 1988 წლის სარეზერვო ფინანსი — 250.000 მანეთი, მათ შორის ლატარია „სპორტლოტო 645“-დან — 25.000 მანეთი, „536“-დან 175.000 მან. ლატარია „სპორტპროგნოზი“ — 50.000 მანეთი.

გთხოვთ სპორტისა და სპორტული ლატარიების მოყვარულებს მხოლოდ მონაწილეობა ლატარია „სპორტლოტოსა“ და „სპორტპროგნოზის“ 50-ე ტირაჟებში.

სასპორტლოტომ.